

უძრავი ქონების გამიჯვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამიჯნოს ქალაქ ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში ი. ჭავჭავაძის გამზირი N51ა-ს ჩრდილოეთით მდებარე 46.0 კვ.მ. გაზონი /ამონაწერი N03.04.30.340/ თანდართული გამიჯვნითი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მიხედვით და გამიჯნული უძრავი ქონება ცალ-ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირდეს შემდეგი ფართობებით:
 - გაზონი - ი. ჭავჭავაძის გამზირი N51ა-ს ჩრდილოეთით /ნაკვეთი N1/, ფართობით 41.0 კვ.მ;
 - გაზონი - ი. ჭავჭავაძის გამზირი N51ა-ს ჩრდილოეთით /ნაკვეთი N2/, ფართობით 5.0 კვ.მ;
2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერადეს (პირადი N60001079086).
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ. ქავთარაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

ნ. მიქიაშვილი